სსკგ-ის თავმჯდომარემ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარს აღსაყდრების დღე მიულოცა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 25.12.2025. *მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ სრულიად საქართველოს უწმინდეს და უნეტარეს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს მისალოცი წერილი გაუგზავნა მისი წინამძღვრობის 48-ე წლისთავთან დაკავშირებით.*

წერილში ნათქვამია:

თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ!

გულითადად გილოცავთ ქართველ პირველმღვდელთმთავართა საყდარზე თქვენი დადგინების მორიგ წლისთავს.

თითქმის ნახევარი საუკუნის წინ, ყოვლადსახიერმა უფალმა გამოგირჩიათ თქვენ მაღალ საპატრიარქო

მსახურებაზე მორწმუნეთა სრულყოფისათვის აღსაშენებელად გუამისა ქრისტესისა (ეფეს. 4:12). მთელი ეს წლები თქვენ გარშემორტყმული ხართ თქვენი ძმა-მღვდელთმთავრების და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა ერთგული შვილის სიყვარულითა და პატივისცემით. ეკლესიის საჭესთან მდგომი, თქვენ გონივრულად აღაშენებთ ღვთის ერს სიმართლეში, ღმრთის მსახურებაში, სარწმუნოებაში, სიყვარულში, მოთმინებაში, სიმშვიდეში (1 ტიმ. 6:11), რამეთუ საკუთარი ცხოვრებით თავად აძლევთ ქრისტეს ჭეშმარიტებისადმი ერთგულების მაგალითს და მართლმადიდებლობის ერთობისათვის თავდადებას.

ამ მნიშვნელოვან დღეს ლოცვით გისურვებთ ჯანმრთელობას და ძალმოსილებას ყოვლადძლიერი უფლისგან თქვენს საწინამძღვრო შრომებში წმინდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკეთილდღეოდ.

მოკრძალებული სიყვარულით ქრისტეში,

მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო

კავშირების განყოფილების თავმჯდომარე,

ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93881/